

## **ადმინისტრაციული სამართლის საკითხები** (რეკომენდაციები სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე)

2008 წლის 2 თებერვალს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა მორიგი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოთა მოსამართლეები. შეხვედრის მიზანი გახლდათ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა. ამ ტიპის შეხვედრების დანიშნულებაა გაიმართოს დისკუსია იმ სამართლებრივი საკითხების თაობაზე, რაც მოსამართლეთა აზრით მნიშვნელოვანია და რომლებზეც საჭიროა ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება. ამ რეკომენდაციებს, მართალია არ ექნებათ სავალდებულო ხასიათი, მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ერთიანი სამართლებრივი მიმართულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა მიენიჭებათ.

აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი. დისკუსიის შედეგად, ამ საკითხებზე შემუშავებულ იქნა მოსამართლეთა ერთიანი პოზიცია და იგი ჩამოყალიბდა რეკომენდაციათა სახით.

I. დისკუსიის საგანი გახდა *საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდგომში – „სასკ-ი“) 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმა 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებებამდე* – „სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში“.

**დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე**, უნდა გავრცელდეს თუ არა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გასაჩივრების ვადა იმ შემთხვევებზე, როდესაც გადასახადის გადამხდელმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმად თავიდანვე აირჩია დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ და სასამართლოში სარჩელი წარადგინა სასკ-ის 22-ე მუხლისთვის მე-5 ნაწილის დამატებამდე.

აღინიშნა, რომ დასმული საკითხი შეეხება სასკ-ის 22-ე მუხლის მე-5 ნაწილს – სარჩელი საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე სასამართლოს უნდა წარდგენოდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. დასახელებული ნაწილი ამ მუხლს დაემატა „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4259 კანონით, რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 1 იანვრიდან. მართალია, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების

შეტანის შესახებ” საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის №5670 კანონით მითითებული ნორმა ამოღებულ იქნა, მაგრამ მისი შესატყვისი ნორმა კანონმდებელმა გაითვალისწინა სასკ-ის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე – ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში“.

წამოიჭრა საკითხი იმის თაობაზე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების სპეციალური წესისა და ვადის არსებობისას გარკვეული გაუგებრობა იქმნება იმ სარჩელების დასაშვებობის შემოწმებისას, რომლებიც წარდგენილია სასამართლოში 2007 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია მისი გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მას უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში იმავე ვადაში, რომელშიც მას აქვს გადაწყვეტილების ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გასაჩივრების უფლება. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგადასახადო დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ფორმაა დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ.

**საბოლოოდ, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ, თუ სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2007 წლის 1 იანვრამდე – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლისათვის დამატებული მე-5 ნაწილის ამოქმედებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით აღძრული სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს *ამავე მუხლის მე-3 ნაწილის იმ დროს მოქმედი რედაქციით* (სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში) *დადგენილი ერთთვიანი ვადით: თუ სარჩელი აღძრულია ამ ვადის დაცვით, იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ დასაშვებობის პირობას, გასაჩივრების ვადასთან მიმართებით.***

## II.

დღეისათვის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს წარმოებაშია დავები იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით, რომლებითაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს *უნებართვო ნაკებობის*

**მშენებლობისათვის დაეკისრათ ჯარიმა და დაევალოს მშენებლობის ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.**

ერთ-ერთი საქმის განხილვის (მათ შორის, სააპელაციო წესით განხილვის) პროცესში გამოიკა „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის და მათი ნაწილების ლეგალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 25 ნოემბრის №660 ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა სათანადო ორგანოსადმი მიმართვით პროექტის დარღვევით ან/და უნებართვოდ აშენებული ობიექტის ლეგალიზაცია.

**დისკუსია გაიმართა იმის თაობაზე,** საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, თავისუფლდება თუ არა პირი გადაწყვეტილებით დაკისრებული ორივე (ჯარიმა/დემონტაჟი) თუ ერთ-ერთი (დემონტაჟი) სანქციისაგან.

ამასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ 2007 წლის მიწურულს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 და „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებები) შედეგად გამოიხატა სახელმწიფოს ნება – მოახდინოს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისად, **გამორიცხულია მისი დემონტაჟი.**

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის ახალი რედაქციით (ცვლილება განხორციელდა საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის №5646 კანონით) უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აღარ არის გათვალისწინებული დაინტერესებული პირის მიერ ჯარიმის გადახდა, მაგრამ ამ ნორმას, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვერ მიენიჭება უკუძალა, რადგან ამის შესახებ არ არის პირდაპირ მითითებული აღნიშნულ კანონში. ამდენად, რაც შეეხება უკვე დაკისრებული ჯარიმის შესახებ დადგენილების აღსრულებას, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სამართლებრივ მექანიზმს

ობიექტის ლეგალიზების დროს მანამდე დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან სამართალდამრღვევის გათავისუფლებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ *ჯარიმის დაკისრების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აღსრულდეს.*

### III.

განსახილველი საკითხი უკავშირდება *დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ განცხადებას*, კერძოდ, სამართალწარმოების რა წესით უნდა იქნეს აღნიშნული კატეგორიის განცხადებები განხილული – სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაბადება მიეკუთვნება მოქალაქეთა სამოქალაქო და საოჯახო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან იურიდიულ ფაქტს, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფოს სახელით სავალდებულო რეგისტრაციას და წარმოადგენს მოქალაქეთა გარკვეული უფლება-მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს. იმავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია გულისხმობს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქალაქეთა ქონებრივი, აგრეთვე, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით იურიდიული ფაქტების (მათ შორის – დაბადების) დაფიქსირებასა და აღრიცხვას.

ამდენად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მიზანი მოქალაქეთა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის უზრუნველყოფაა, აღნიშნული უფლებები კი გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის – დაბადების რეგისტრაციის დადგენის შესახებ.

გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაბადების მოწმობის აღდგენა ვერ მოხდება სასარჩელო წარმოების გზით. თავისი სამართლებრივი ბუნებით, დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ მოთხოვნა წარმოადგენს განცხადებას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ და განხილულ უნდა იქნეს უდავო წარმოების წესით. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამის შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს დაბადების მოწმობის ხელახლა გასაცემად.

ამდენად, საბოლოოდ შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ დაბადების მოწმობის აღდგენა *უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXVI თავით დადგენილი (იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა) წესით.*

#### IV.

განსახილველი საკითხი უკავშირდება *საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილს* – სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

**დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე,** გავრცელდება თუ არა მითითებული პროცედურის განხორციელების სავალდებულობა მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით აღძრულ სარჩელებზე, ასევე რა ეტაპზე უნდა მოხდეს იმ გარემოების შემოწმება, წარადგინა თუ არა მოსარჩელემ ერთჯერადად ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

აღინიშნა, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის ნორმა საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს, რომელიც ამ კოდექსს დაემატა „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის №5670 კანონით. შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილშიც, რომლის თანახმადაც, პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (ცვლილება შეტანილ იქნა „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის №5671 კანონით). აღსანიშნავია, რომ მითითებული ორივე ცვლილება ამოქმედდა ერთდროულად – **2008 წლის 18 იანვრიდან**. შესაბამისად, აღნიშნული თარიღიდან სარჩელის სასამართლოს მიერ მიღების სავალდებულო წინაპირობად კანონმდებელმა გაითვალისწინა აუცილებელი პროცედურის გავლა პირის მიერ მანამ, სანამ თავისი დარღვეული უფლებისა თუ კანონიერი ინტერესის აღდგენისა და დაცვისათვის სარჩელით მიმართავს სასამართლოს.

გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ნორმის შემოტანა გამოიწვევს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადატვირთვას – საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საჩივრები მათ ზემდგომ ორგანოებში, რომელთა უმრავლესობა განლაგებულია საქართველოს დედაქალაქში. შესაბამისად, ზემდგომი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდება სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, აღინიშნა ისიც, რომ, რადგან საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა, რამდენიმე მოპასუხის არსებობის

შემთხვევაში, ითვალისწინებს განსჯადი სასამართლოს არჩევას მოსარჩელის შეხედულებისამებრ, ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელე გაასაჩივრებს, როგორც ტერიტორიული, ისე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს აქტს (რეალაქტს) და მისთვის უფრო მისაღები და მოხერხებული იქნება, სარჩელი აღძრას უშუალოდ იმ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, რომელსაც თავდაპირველად მიმართა კონკრეტულ საკითხზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავი (ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით) ითვალისწინებს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენას, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ისე აქტის გამოცემაზე უარის კანონიერებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, ისეთი ქმედების განხორციელების ან ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისას, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან (სზაკ-ის 177-ე მუხლი).

საბოლოოდ შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის მიღების აუცილებელ პირობად მიჩნეული პროცედურის დაცვა (ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის სავალდებულობა) ვრცელდება *ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან (რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან) თავის შეკავების მოთხოვნით აღძრულ სარჩელებზე*, ანუ ხაზგასმით აღინიშნა, რომ მითითებული ახალი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ამოქმედდა 2008 წლის 18 იანვარს, შეეხება როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ისე ქმედების განხორციელების შესახებ აღძრულ სარჩელებს, იგი არის ზოგადი ხასიათის საპროცესო ნორმა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავში (ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით) განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებასთან – ამ კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის ახალ რედაქციასთან – პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პროცესუალური წესით და რა ეტაპზე უნდა მოხდეს იმ გარემოების შემოწმება, წარადგინა თუ არა მოსარჩელემ ერთჯერადად ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ გარემოების გამოკვლევა უნდა მოხდეს **განმწესრიგებელ სხდომაზე**. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოსარჩელეს არ მიუმართავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის

ადმინისტრაციული საჩივრით, სასამართლო საქმეს შეწყვეტს სარჩელის დაუშვებლობის მოტივით.

აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ყურადღება გამახვილდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის მითითებაზე – **სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა**, ანუ იგულისხმება, რომ მითითებული გარემოება გამოკვლეულ უნდა იქნეს **სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე**.

აღინიშნა, რომ, თუ სარჩელი პირის მიერ აღძრულია ზემოთ მითითებული ცვლილებების ამოქმედებამდე (2008 წლის 18 იანვრამდე), სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:

სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ვინაიდან სასკ-ი საპროცესო კანონმდებლობის დროში მოქმედებას განსხვავებულად არ აწესრიგებს, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

სსსკ-ის 435-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება სასამართლოში ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს.

ამდენად, თუ პირმა გადაწყვიტა თავისი დარღვეული უფლებების აღდგენა სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების გამოყენების – სარჩელის აღძვრის გზით და სარჩელის წარდგენა სასამართლოსათვის მოხდა 2008 წლის 18 იანვრამდე, სასამართლო ვალდებულია, სარჩელის დასაშვებობა შეამოწმოს იმ საპროცესო ნორმების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებდა სარჩელის აღძვრის მომენტისათვის, რადგან პირმა სწორედ ამ მომენტში მოახდინა თავისი შესაბამისი უფლების რეალიზება.

**საბოლოოდ, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე**, რომ სარჩელის აღძვრამდე ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობის გამოყენების შესახებ გარემოების არსებობა გამოკვლეულ უნდა იქნეს და მისი არსებობა-არარსებობა დადგინდეს **სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე**. თუ სარჩელზე დართული მტკიცებულებებიდან არ ირკვევა, რომ აღნიშნული პროცედურა დაცულია, სასამართლომ უნდა დაადგინოს ხარვეზი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე (მოსარჩელე არ უთითებს იმ გარემოებაზე, რომელიც ასაბუთებს მის მოთხოვნას და არ წარუდგენს სასამართლოს ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებას). თუ ხარვეზი არ იქნა შევსებული, სასამართლო საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარს იტყვის სარჩელის მიღებაზე, იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ არ შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, აგრეთვე – იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზეც – მოსარჩელემ არ გამოიყენა ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემაში დავის გადაწყვეტის საშუალება ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის გზით, სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული განსახილველად, რადგან ამ ეტაპზე სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას. თუ სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2008 წლის 18 იანვრამდე, სასამართლომ მისი წარმოებაში მიღების (დასაშვებობის) საკითხი უნდა გადაწყვიტოს სარჩელის წარდგენის მომენტში მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

## V.

დისკუსიის საგანი გახდა შემთხვევა, როდესაც ფაქტობრივად მოდავე მხარეებს წარმოადგენენ კერძო სამართლის სუბიექტები, მაგრამ სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ (რეალური მოპასუხე მითითებულია მესამე პირად) და მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო რეესტრის ჩანაწერში განხორციელებული ცვლილების ბათილად ცნობა.

დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე, მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავაა, თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი.

გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხედ მიჩნეული სუბიექტის სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით, აღნიშნული დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რადგან სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ, ვინაიდან მოცემული დავა რეალურად მიმდინარეობს ორ ფიზიკურ პირს შორის და შეეხება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს, საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა, ფაქტობრივად, წარმოადგენს დავის გადაწყვეტის თანმდევ შედეგს – ამგვარ დავაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, საჯარო რეესტრი განხორციელებს ჩანაწერს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის (სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი) 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის. ამდენად, ასეთი



კატეგორიის დავები განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**საბოლოოდ, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ** სასამართლო, კონკრეტული საქმის გარემოებების შეფასების შემდეგ, მსჯელობს იმის შესახებ, სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს კონკრეტული დავა თუ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. განსჯადობის საკითხზე მსჯელობამდე და მის გადაწყვეტამდე, უნდა დადგინდეს, თუ რაში მდგომარეობს სასარჩელო მოთხოვნა (მოთხოვნები), კერძოდ, თუ მოსარჩელე მოითხოვს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობას, ამ შემთხვევაში სახეზე იქნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავა, ხოლო, თუ მოსარჩელე საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობასთან ერთად, მოითხოვს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას, მაშინ საქმე განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამასთან, საქმის განსჯადობით გადავზავნამდე სასამართლომ უნდა განსაზღვროს ყოველ სასარჩელო მოთხოვნაზე სათანადო მოპასუხეები.

## VI.

განსახილველი საკითხი უკავშირდება **საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილს** – თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

**დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ უნდა** იმსჯელოს თუ არა სარჩელის დასაშვებობის შესახებ იმ პირობებში, როდესაც სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, მაგრამ მოსარჩელეს სარჩელის აღძვრამდე, არ მიუღია ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, თუ ამავდროულად, საქმის მსვლელობისას დადგინდა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე.

გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასეთ შემთხვევაში სარჩელის დასაშვებობის შემოწმებას აღარ აქვს აზრი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, უარს აცხადებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე. შესაბამისად, სახეზეა დავა, რომელიც განსახილველად ექვემდებარება სასამართლოს.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ დავა არსებითად არ უნდა იქნეს განხილული მანამ, სანამ არ შემოწმდება სარჩელის დასაშვებობის პირობების არსებობა. თუ მოპასუხის წარმომადგენელი ზეპირი ფორმით უარს აცხადებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე,

ასეთი ფორმით გამოხატული უარი არ არის საკმარისი ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოსავლენად, რადგან იგი მხოლოდ ერთი პირის – ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრებას წარმოადგენს. შესაძლებელია, ადმინისტრაციული ორგანო ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას სხვა წესით მოქმედებდეს (მაგალითად, კოლეგიური წესით გადაწყვეტილების მიღება და სხვა).

**საბოლოოდ, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრისას სასამართლომ უნდა დაიცვას ამავე კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლით დადგენილი დასაშვებობის პროცედურები.

## VII.

განსახილველი საკითხი უკავშირდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას „**სახელმწიფო ბაჟის შესახებ**“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (შეღავათები სახელმწიფო ბაჟში) „ა“ ქვეპუნქტის (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულნი არიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც მომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობებიდან) და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის (სახელმწიფო ბაჟი) 1-ლი ნაწილის (სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე) საფუძველზე, აგრეთვე, ამ ნორმათა ურთიერთმიმართებას.

**დასმულ იქნა საკითხი:** მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების) გასაჩივრებისას მოსარჩელის მიერ გადახდილ უნდა იქნეს თუ არა სახელმწიფო ბაჟი; ვრცელდება თუ არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი შეღავათი ასეთი სახის სარჩელებზე.

აღინიშნა, რომ ამ საკითხების დასმა გამოწვეულია იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობით არ არის რეგლამენტირებული „სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის“ ცნება.

აღინიშნა, რომ შრომის უფლება, როგორც სოციალური უფლება, დაცულია 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიით (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის №1876 დადგენილებით და შესაბამისად, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს), რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა მინიჭებისა და დაცვის მექანიზმებს სწორედ შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში.

**საბოლოოდ, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ** შრომის უფლების დაცვა უდავოდ მიეკუთვნება სახელმწიფო სოციალური დაცვის

საკითხთან დაკავშირებით აღძრულ დავას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კატეგორიის დავებზე მოსარჩელე უდავოდ უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### VIII.

განსახილველი საკითხი შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლს – პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ტესტირება და არ არიან გაწვევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში.

დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე, რომ ასეთი შეზღუდვა უნდა გავრცელდეს თუ არა იმ პირთა მიმართ, რომელთაც ტესტირება მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით აქვთ გავლილი და სურთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას.

გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლი შეიცავს ზოგად მითითებას პირის მიერ ადვოკატთა ტესტირების გავლაზე, სპეციალიზაციის დაკონკრეტების გარეშე, შესაბამისად, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით ტესტირებაგავლილი ადვოკატი დაშვებულ უნდა იქნეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში წარმომადგენლად მონაწილეობის უფლება ენიჭებათ მხოლოდ ადვოკატებს – პირებს, რომელთაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაიარეს ტესტირება და გაწვევრიანებული არიან სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში დაკონკრეტებულია მოცემული საკითხი, რაც მხოლოდ ზოგადად (სპეციალიზაციის მითითების გარეშე) არის ასახული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლში. აღნიშნული ქვეპუნქტების თანახმად, ადვოკატთა ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით, ადვოკატების სპეციალიზაცია კი ხდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში. ასევე აღინიშნა, რომ სამოქალაქო სამართლის დარგში სპეციალიზაცია მოიცავს ადმინისტრაციულ სამართალსაც და იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის დარგში სპეციალიზაციასაც, ხოლო

საერთო ტესტირება მოიცავს, როგორც სამოქალაქო სამართლის, ისე სისხლის სამართლის დარგში სპეციალიზაციას. ამდენად, საერთო სასამართლოების სისტემაში, კერძოდ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას **პირს, რომელსაც გავლილი აქვს ტესტირება მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, მოქმედი კანონმდებლობით არა აქვს მინიჭებული უფლება, წარმოადგინოს და დაიცვას მზარე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე.** შესაბამისად, ამ შემთხვევაში ადვოკატს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთო ტესტირება ან ტესტირება სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით და იმავდროულად, იგი უნდა იყოს გაწვევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, თუ რომელი სპეციალიზაციით აქვს გავლილი ადვოკატს ტესტირება. **იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს ტესტირება გავლილი აქვს მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ადვოკატი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში ადმინისტრაციულ საქმეებზე წარმომადგენლად არ უნდა იქნეს დაშვებული.**

## IX.

განსახილველი საკითხი უკავშირდება **საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-88-ე მუხლებს** – საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, აღიარებული საგადასახადო ვალდებულების არსებობისას დაადოს ყადაღა მოვალის ქონებას და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განახორციელოს მისი რეალიზაცია.

**დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე, რომ, თუ საქმეზე არ არსებობს აღიარებული საგადასახადო ვალდებულება, ამასთან, მოვალის ქონებას დადებული აქვს ყადაღა საგადასახადო ორგანოს მიერ, რაც არ არის გასაჩივრებული კანონით დადგენილ ვადაში, ქონების რეალიზაციის შესახებ საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის განხილვისას სასამართლოს ევალეზა თუ არა, არსებითად განიხილოს საგადასახადო ვალდებულების დაკისრების კანონიერება და მოთხოვნის დაკმაყოფილება მოახდინოს მხოლოდ დადგენილი ვალდებულების ფარგლებში.**

გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ, მართალია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის უფლება, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, გააჩნია საგადასახადო ორგანოს, მით უმეტეს, თუ გასაჩივრებული არ არის ყადაღის დადების შესახებ აქტი დაინტერესებული პირის მიერ კანონით დადგენილ ვადაში. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ **საგადასახადო ვალდებულება არ არის აღიარებული.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების აუცილებელი წინაპირობა სწორედ ისაა, რომ არსებობდეს აღიარებული საგადასახადო ვალდებულება.

საბოლოოდ, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ სასამართლომ, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ ბრძანების გაცემამდე, *აუცილებლად უნდა შემოწმოს საგადასახადო ვალდებულების დაკისრების კანონიერება*, სასამართლო სხვაგვარად ვერ გასცემს ბრძანებას ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, რადგან ის ფაქტი, რომ მოვალემ არ აღიარა საგადასახადო ვალდებულება, არ იძლევა ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის უფლებას მანამ, სანამ არ გაირკვევა საგადასახადო მოთხოვნის კანონიერების საკითხი.

## X.

დისკუსიის საგანი გახდა ნოვაციური დამატება საპროცესო კანონმდებლობაში, კერძოდ, *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლი*, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხარეთა წერილობითი თანხმობით განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს.

დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე, ხომ არ გამორიცხავს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 27-ე მუხლის (გამარტივებული სამართალწარმოება – სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად) არსებობა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 376<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

აღინიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლი წარმოადგენს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის №5669 კანონით (*ამოქმედდა 2008 წლის 18 იანვარს*)

შემოტანილ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ნოვაციას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით რეგლამენტირებულია სააპელაციო სასამართლოს უფლება – განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება მხოლოდ კანონის დარღვევას და აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას.

ასევე აღინიშნა, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ წინაპირობის არსებობაზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს უფლებას ანიჭებს – **თავისი ინიციატივით**, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინების გარეშეც, განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე: სააპელაციო საჩივარი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ **კანონის დარღვევას** და აპელანტი უნდა მოითხოვდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ **სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას**. ამ წინაპირობის არსებობის შემოწმება უკავშირდება სააპელაციო საჩივრის შინაარსის გარკვევასა და აპელაციის მიზეზების დადგენას. ამასთან, ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებებს, მაგრამ ისინი სააპელაციო სასამართლოსთვის არ არის სავალდებულო. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენს, თუ, რა თქმა უნდა, იგი ჩათვლის, რომ **არსებობს ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული წინაპირობა**. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება და მხარეებს წინასწარ აცნობებს ამის თაობაზე.

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ნორმას, ამ ნორმითაც რეგლამენტირებულია სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, მაგრამ დადგენილია განსხვავებული წინაპირობები: 1. აპელაცია ეფუძნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას; 2. აპელანტის მიერ არ უნდა იყოს წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, ან წარმოდგენილი უნდა იყოს დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები (ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების დასაშვებობის შემოწმების წესი დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა). ამდენად, **თუ აპელანტის მიერ წარმოდგენილია დასაშვებად მიჩნეული ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საქმე იმ**

**შემთხვევაშიც კი, თუ მხარეები მოითხოვენ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას.**

აღინიშნა, რომ, თუ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, ან თუ ისინი დაუშვებელია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, **მხარეთა წერილობითი თანხმობით**, განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ მხარეებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ გამარტივებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის უფლებამოსილებას – სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

ზაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლს გააჩნიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული საპროცესო შინაარსი, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებული საპროცესო ინსტიტუტებია, რაც **საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით განხილვაში** გამოიხატება. მათ შორის მსგავსება კი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ორივე შემთხვევაში **საქმის განხილვას მხარეები არ ესწრებიან**. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლით რეგლამენტირებული წინაპირობის არსებობისასაც სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე, თუ სახეზე არ არის ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმის განხილვის მოთხოვნა, ხოლო ასეთი მოთხოვნის სააპელაციო საჩივარში წარმოდგენა, თავის მხრივ, არ გამორიცხავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის საფუძველზე საქმის განხილვას გამარტივებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით – მხარეთა დაუსწრებლად და არა ზეპირი მოსმენის გარეშე.

კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი გულისხმობს მხარეთა თანხმობით საქმის განხილვას მათ დაუსწრებლად და არა ზეპირი მოსმენის გარეშე. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს და ატარებს საჯარო სხდომას, სადაც არ იწვევს მხარეებს და სრულად იცავს საქმის მთავარი სხდომის ჩატარების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXV თავით დადგენილ წესს, ამ თავით განსაზღვრული ზეპირი შეჯიბრებითობის მარეგულირებელი ნორმების გამოკლებით, რა დროსაც დგება შესაბამისი სხდომის ოქმი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის დადგენისას, სააპელაციო სასამართლო არ ნიშნავს სასამართლო სხდომას, სააპელაციო

სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა განიხილავს საქმის მასალებს და გამოაქვს გადაწყვეტილება.

ამრიგად, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ნორმები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი არ ზღუდავს ადმინისტრაციული იურისდიქციის სააპელაციო სასამართლოებს – არ უკრძალავს მათ გამოიყენონ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება – საქმე განიხილონ ზეპირი მოსმენის გარეშე.

## XI.

დისკუსიის საგანი გახდა საკითხი, რომელიც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს (ან სამხედრო ნაწილის) მიერ გაცემულ ცნობას სახელფასო დავალიანების, კვების ულუფისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ოდენობის შესახებ.

დასმულ იქნა საკითხი იმის თაობაზე, სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა ვრცელდება თუ არა სახელფასო დავალიანებებზე, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თუ არა სახელფასო დავალიანების, კვებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის საკითხები.

აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე შეეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 2005 წლის 23 დეკემბრამდე მოქმედ რედაქციას, ანუ იმ პერიოდში მოქმედ რედაქციას, რა პერიოდსაც ეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობები. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გარდა მოსამსახურეს ეძლეოდა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის.

მითითებულ იქნა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტზე (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია), რომლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ეძლეოდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის – ულუფისა და სანივთე უზრუნველყოფის – ფორმის ტანსაცმლის სახით.



ასევე აღინიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134<sup>1</sup>-ე მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით.

აღინიშნა, რომ ამ საკითხზე ადრე უკვე მომზადდა რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ვალის აღიარებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის შემთხვევებს, ამ ეტაპზე კი დისკუსიას დაექვემდებარა ხელფასისა და კომპენსაციის (სასურსათო ულუფა და სანივთე ქონება) ერთმანეთისაგან გამიჯვნა მათ მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის გამოყენებასთან მიმართებაში.

აღინიშნა, რომ სასურსათო ულუფა და სანივთე ქონება წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეებს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახეებისაგან – სასურსათო ულუფისა და სანივთე ქონებისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლში.

საბოლოოდ, შეთანხმება იქნა მიღწეული იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა და სანივთე ქონება წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეებს, შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციებზე არ ვრცელდება, შესაბამისად, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს (ან სამხედრო ნაწილის) მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფისა და სანივთე ქონების დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფისა და სანივთე ქონების დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნა დათხოვნილი პირი სამხედრო სამსახურიდან.

მომავალში კვლავ იგეგმება ასეთი შეხვედრის ჩატარება. როგორც უკვე ითქვა, მას აქვს სისტემატური ხასიათი. გამომდინარე აქედან, პერმანენტულად იწარმოებს ქვედა ინსტანციის მოსამართლეთა მიერ მოსალოდნელი პრობლემური საპროცესო თუ მატერიალურ-სამართლებრივი საკითხების მოწოდება საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის. ამის საფუძველზე კი გამოყალიბდება მოსალოდნელი განსახილველი საკითხების დღის წესრიგი. ვთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების ნუსხა შემდგომი განხილვისათვის, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.